პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 მაისი ხუთშაბათი 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 111 (14715)

ᲛᲘᲬᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ!

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ Გ. ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ქალაქს მაღლიდან გადმოსცქერის და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობასა და მტრისთვის საკადრისი პასუხის გასაცემად მუდმივ მზადყოფნას სიმბოლურად გამოხატავს „ქართველის დედა“ ცალ ხელში თასითა და მეორეში მახვილით.

დედა! ეს პირველი სიტყვაა, რომელსაც, ქვეყნად რომ გაჩნდება, წარმოთქვამს ადამიანი და ამ დროიდან ეს სიტყვა თვითეულისათვის ხდება ყველაზე ძვირფასი, მას უკავშირებს ადამიანი ყოველივე იდუმალს, ყოველივე მახლობელსა და მშობლიურს. ჩვენს მშობლიურ თბილისს ვუწოდებთ „დედაქალაქს“, ჩვენს ენას — „დედაენას“, ჩვენს მიწას „დედამიწას“.

დედამიწა! ხალხმა მას იმიტომ დაარქვა ასე, რომ იგი ნაყოფიერების თვით განსახიერებაა. და ადამიანებმა იწყეს ლაპარაკი, რომ მიწა შობს, იგი იძლევა მოსავალს, ნაყოფს. ისინი დიდი ხანია მიხვდნენ, რომ თუ მიწაში ჩაგდებული თესლი ადამიანებს იძლევა, მაშასადამე იგი რაღაც განსაკუთრებულ ძალას შეიცავს. ეს სიცოცხლის ძალაა.

ჩვენ დღესაც ვამბობთ, რომ დედამიწა პირველმშობელია, თავდაბრველი მატერიალური საფუძველია ყოველივეისა, რაც ცოცხალია ჩვენს მშობლიურ პლანეტაზე.

კ. მარქსის ხატოვანი გამოთქმით დედამიწა დიდი ლაბორატორიაა, არსენალია, რომელიც იძლევა შრომის საშუალებასაც, შრომის მასალასაც, საცხოვრებელ ადგილსაც, ე. ი. კოლექტივის ბაზისს.

მიწა და შრომა. ეს ორი სიტყვა შედუღაბებულია. სწორედ მათი კავშირი იძლევა თავის შესანიშნავ ნაყოფს — ადამიანის გონების გულისა და ხელის ქმნილებას.

დიახ, მიწა სიერცითი ბაზაა ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და ფაბრიკების, ელექტროსადგურებისა და სხვათა მშენებლობისათვის. მაგრამ იგი უწინარეს ყოვლისა ჩვენი მარჩენალია, როგორც მას სიყვარულით უწოდებენ ხალხში.

გავა წლები, საუკუნეები, ხოლო მიწა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება კვლავ იქნება ადამიანის კვების პროდუქტების მთავარი წყარო. აი რატომ უნდა ვუფრთხილდებოდეთ მიწას, სათუთად ვეპყრობოდეთ, სწორად ვიყენებდეთ მას.

მაგრამ მიწის გაფრთხილება ნიადაგის დაცვა მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ სწორად გამოვყოფდეთ, სწორად ვიყენებდეთ მას სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს მტკიცედ და სისტემატურად ვებრძოდეთ წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას. ეს ნიშნავს საიმედოდ ვიცავდეთ სარწყავ მიწებს მეორადი დამლაშებისაგან და დაშრობილ ტერიტორიებს დაჭაობებისაგან. ეს ნიშნავს სანნავი, სათიბი მიწებისა და საძოვრების დაცვას ბუჩქნარისა და წვრილი ტყის მოდებისაგან. ეს ნიშნავს, ბოლოს, ნიადაგების დაცვას მრეწველობის მავნე ნარჩენებითა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით გაჭუჭყიანებისაგან.

მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ ვუფრთხილდებოდეთ მიწას, ნიადაგს არამედ იმასაც, რომ ვზრდიდეთ მის ნაყოფიერებას, არა მარტო ვიცავდეთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, არამედ ავრეთვე განუწყვეტლივ ვაფართოებდეთ მათ. ამისათვის საჭიროა სისტემატურად ჯეწეოდეთ მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობას მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად, ვიღებდეთ დიდ, მყარ მოსავალს, ყოველდღიურად ვნერგავდეთ პრაქტიკაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომით შეგვლებთ მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ეფექტიან აღმავლობას, მხოლოდ ასეთი მიზანმიმართული მუშაობით შევძლებთ შემდეგშიც განვამტკიცოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მტკიცე წარმატებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფრთხილად მოვეპყრობით მიწას, გამოვიჩენთ მისადმი ისეთ მზრუნველობას, როგორიც შვილს შეეფერის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მიწის, ნიადაგის დაცვა ეხება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, რომ მას დიდი სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ამ საკითხებს, მიწის შესახებ კანონისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვისთვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების დარგში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ამას წინათ გაიმართა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ჯეროვანი წესრიგი დამყარდეს მიწათსარგებლობაში, ეფექტიანად იქნას გამოყენებული მიწის მთელი რესურსები, ამაღლდეს მიწათმოქმედების კულტურა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება, ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შესარულოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში ნაკისრი ვალდებულებანი.

ამოცანა ახლა ის არის, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი გავაცოცხლოთ თვითეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს, ამ მიზნით ახლა პლენუმის შედეგებს განიხილავენ სოფლებში, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებებზე.

ამ საკითხის განხილვა კონკრეტულ, საქმიან ხასიათს რომ ატარებდეს, წინასწარ უნდა შემოწმდეს თვითეული კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სახელმწიფო მეურნეობაში, აგრეთვე საცდელ მეურნეობებში მიწის კანონის, მიწათსარგებლობის წესების დაცვა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების დაცვასა და გაშენებას, მათი ეროზიისაწინააღმდეგო, წყალშემკავებელი და სხვა სასარგებლო თვისებების შენარჩუნებას. ხომ ცნობილია, რომ ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ყველაზე რადიკალური საშუალება თვით მცენარეულობაა.

მიწებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხები მიზანშეწონილია პერიოდულად განხილულ იქნას პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიებზე.

დიდი და პასუხსაგები როლი ეკისრება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც სისტემატურად უნდა ამოწმებდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის მდგომარეობას, მიწის კანონის დაცვას და იღებდეს ზომებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველ ჩვენს მეურნეობაში სახტიკად იცავდნენ მიწას, ეწიოდნენ მუშაობას მისი გაუმჯობესებისათვის, ნაყოფიერების ამაღლებისათვის, რომ ეს სოფლის თვითეული მშრომელის ყველა მოქალაქის, ყველა საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმე გახდეს.

საბჭოთა ადამიანები მიწის სიმდიდრის მზრუნველი, ყაირათიანი პატრონები არიან. ისინი არა მარტო ცდილობენ გონივრულად გამოიყენონ მიწა, არამედ კიდევაც გარდაქმნიან მას.

განა ამაზე არ მეტყველებს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ათვისებულია მიწის დიდი ფართობები, ოღონდ ეს წინათ გამოუყენებელი იყო, ან ის, რომ ჩაის პლანტაციების 70 პროცენტზე მეტი გაშენებულია იმ მიწებზე, რომლებიც ბუჩქნარებისა და გვიმრისაგან გაიწმინდა, ან ის, რომ ათვისებულია ათეულ ათასობით ჰექტარი დაჭაობებული მიწები და გაჩაღდა მორწყვის დიდი სამუშაოები, რის მეოხებითაც ხალხის სამსახურში ჩაყენებულ იქნა წინათ ცარიელი მიწის ფართობები?!

ეს განა ღირსშესანიშნავი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა მიწათსარგებლობის საკითხებს, მალევე შეიკრიბა საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ბუნების მეგობრის“ ყრილობა, რომელზეც აგრეთვე გაიმართა დიდი ბჭობა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის შესახებ, რითაც ესოდენ განთქმულია ჩვენი რესპუბლიკა.

მიწა და ბუნება. ესეც ერთმანეთისაგან განუყოფელი ორი სიტყვაა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენების დამთავრებისას ამხანაგი ვ. პ. მეჟაანაძემ თქვა:

— სიტყვები „ბუნება“ და „მიწა“ ისევე ამაყად უნდა ეღერდეს, როგორც სიტყვა „ადამიანი“, რადგან ადამიანი ქლიერია განუყრელი კავშირით მიწასთან, და მიწა აძლევს ადამიანს ყველაფერს, რაც კი საჭიროა სიცოცხლისათვის.

აი რატომ ამგვიანებენ საქართველოში: დედამიწა!

ᲚᲘ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ

12 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრს ამხ. რ. კასტრო რუსს, რომელიც მონაწილეობდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 25 წლისთავის დღესასწაულში.

საუბრის დროს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა და ამხ. რ. კასტრომ გამოთქვეს მოსაზრებანი საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ორივე ხალხის საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების, სოციალისტური თანამეგობრობის, მთელი რევოლუციური და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების შესახებ; გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებზე, ახლანდელი თვალსაზრისით, როცა ძალიერდება იმპერიალისტური რეაქციის აგრესიული მოქმედება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებენ კუბელ მეგობრებს შემდგომ წარმატებებს კუბის ეკონომიურ განვითარებაში, რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში, ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. ამხ. რ. კასტრომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ნ. პონომარევი, და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ამხ. ა. ა. გრეჩკო.

შეხვედრამ გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

ᲗᲘᲗᲝᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲨᲘ

მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების თითბირ-სემინარმა, რომელიც გაიმართა თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეთით. თითბირზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე აგიტპროპაგანდისტების მუდმივმოქმედი სემინარების, პოლიტნფორმატორთა ჯგუფების, აგიტპუნქტებისა და ამომრჩეველთა კლუბების ხელმძღვანელები.

თითბირ-სემინარი მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს.

მის მონაწილეებს ლექციები წაუკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ა. როდონოვმა** — პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ი. ჭანუყვაძემ** — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ **დ. ვ. გოგოხიამ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანების შესახებ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ე. ა. შევარდნაძე** შეეხო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. გ. კაციტაძემ** წაიკითხა ლექცია თემაზე „ლენინი იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიებისა და რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების შესახებ“. ლექცია საბჭოთა სარჩევნო სისტემის შესახებ წაიკითხა პროფესორმა **გ. ა. ერემოვმა.**

თითბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ემზადებიან არჩევნებისათვის ადგილებზე, რა ღონისძიებებს ახორციელებენ იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიასთან დაკავშირებით.

(საკდესი).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ-1970“

12 მაისს მოსკოვში სტუმართმოყვარულად გაიხსნა „ჩეხოსლოვაკია-1970“ საიუბილეო გამოფენის კარი.

„სილისა და გულის თანამშრომლობა“ — ასე ეწოდება გამოფენის სამრეწველო განყოფილებას. აქ წარმოდგენილი ექსპონატები მნახველს აცნობენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და ეკონომიური თანამშრომლობის შედეგებს.

„ჩეხოსლოვაკიელ ხალხს გულსურვებთ შემდგომ წარმატებებს მრეწველობის განვითარებაში. სულითა და გულით მივესალმები მოძმე მშრომელ ხალხს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას“, — ნათქვამია 1925 წლიდან სკკპ წევრის ვ. ა. კურალოვის ჩანაწერში.

ამ სურვილს ერთოდება გამოფენის ყველა დამთვალიერებელი.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-344“

1970 წლის 12 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-344“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ!

50 ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘᲡᲢᲘᲡ

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები მხარს უჭერენ თბილისელი შეიქრების გადაწყვეტილებას გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ᲝᲠ ᲓᲦᲔᲡ — ᲓᲐᲖᲝᲒᲘᲚᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲗ

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში გაეცნენ რა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივის ინიციატივას, მეტრიკოტაჟეებმა გუშინ კომბინატის მშრომელთა კრებაზე გადაწყვიტეს თავიანთ შესაძლებლობებს და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

ვალდებულებათა ოქმში აღნიშნულია:

საბჭოთა საქართველოს იუბილემდე დარჩენილ ათ თვეში გეგმის გადამეტებით მოვახდინოთ 500 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია;

გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 40 ტონა ნართი, 200 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი.

დავზოგოთ 40 ტონა ბამბის ნედლეული, 600 ათასი კილოვატ-საათი ელექტრო ენერგია, 200 ტონა პირობითი სათბობი.

შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 4 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შევამცროთ 0,3 პროცენტით;

გეგმის გადამეტებით მივიღოთ 50 ათასი მანეთი მოგება;

ავითვისოთ 5 ახალი სახის ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება;

გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით გავაუმჯობესოთ ნართის ხარისხი, ხოლო 0,7 პროცენტით—სატრიკოტაჟო ნაწარმისა;

ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით გამოვათავისუფლოთ 100 კაცი და ისინი სხვა სამუშაოზე გადავიყვანოთ.

იკისრეს რა ეს ვალდებულებანი, კომბინატის მშრომელებმა კრებაზე ერთხმულად გადაწყვიტეს სართავმა წარმოებამ 1971 წლის 24 და 25 თებერვალს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულით.

ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი, რომელიც ღირსეულ ადატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს, ენერგიულად მუშაობს ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

კერამიკოსები გულდასმით გეგეცნენ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივის პატრიოტულ ინიციატივას, გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს:

იუბილემდე დარჩენილ დროში გეგმასთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გაადიდონ 50 ათასი მანეთით;

შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 1 პროცენტით; ხოლო მოსაპირკეთებელი ფილების ხარისხი გაადიდონ 1 პროცენტით;

დაზოგონ 450 ათასი კუბური მეტრი გაზი, 400 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია;

გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვის გზით მიიღონ 40 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ᲒᲠᲣᲖᲐ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ თბილგვირაბმშენის № 12 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელია, 18 წელია, რაც თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე მუშაობს. თავდადებული შრომით გ. ობოლაძემ მეტრომშენებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, სწორედ ამიტომ წამოაყენეს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

გ. ობოლაძე სოციალისტური შრომის გმირია, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი. კომუნისტი გ. ობოლაძე დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში. სურათზე: **ᲑᲠᲣᲖᲐ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

230.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲘᲡᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲗᲕᲔᲐ

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐ

1970 წლის 11 მაისისათვის
საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

(ტონობით)

	მაისისა ერთნაირ გეგმა	ფაქტიური	პროცენტ-ობით
აფხაზეთის ასსრ	20956	8184	39
გალის	11260	4611	41
ოჩამჩირის	7088	2735	39
გუდაუთის	1760	489	28
გულრიფშის	650	269	41
სოხუმის	198	80	40
აჭარის ასსრ	17824	6824	38
ქობულეთის	12664	4038	32
ბათუმის	4854	2695	56
ქედის	306	91	30
მახარაძის	20767	6026	29
ზუგდიდის	14944	5566	37
ფალეხიის	6920	2339	34
ლანჩხუთის	5687	2160	38
ვაკეჯაკრის	5446	2253	41
ჩხოროწყუს	4935	2089	42
ოზურგეთის	3529	1131	32
წყალტუბოს	2731	1442	53
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2500	762	30
ცხაკაიას	2519	1103	44
წულუკიძის	2467	1174	48
ხობის	2030	929	46
სამტრედიის	706	269	38
აბაშის	306	133	43
თერჯოლის	234	249	106
ჭიათურის საქალაქო საბჭო	127	39	31
ვანის	102	64	63
ზესტაფონის	20	20	100
სულ	114750	42755	37
ჩაისა და სუბტროპიკების საბჭოთა მეურნეობების ტრესტში	23103	9710	42

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲢᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). აფხაზეთის მშრომელების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს მიაყიდონ 42.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყველგან გაჩაღდა ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფა.

გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ და ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის კოლმეურნეობა „აფსნი ყაფშმა“ ჯერ კიდევ მარწმენ უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ახლა ეს კოლმეურნეობები ჩაის ფოთოლს 1971 წლის ანგარიშში კრეფენ.

ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბ. შერმაშიძე). მეურნეობაში დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ვ. ზუხბაია და ზ. ჯობავა ხელმძღვანელობენ.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲮᲝᲑᲘ. (საკ. კორ.). ხუთწლედის დამამთავრებელ წელს განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ხობელი მეჩაიეები. მათ წელს 4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა ჩააბარონ მრეწველობას. 13 მაისისათვის ხობელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 1.200 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა მარს-ღვინისის გეგმის შესრულება საბელმწიფოს მაისის ბოლოსათვის უპატაკონ.

დეპუტატობის კანდიდატი გ. ობოლაძე

გვხერა, ნდობას გაამართლებს

ყველა თბილისელს ახსოვს ის საზეიმო წუთები, როცა დედაქალაქის მეტროპოლიტენი პირველად ამუშავდა. მაგრამ შეიძლება ბევრი არ დფიქრებულა იმაზე, თუ რა დიდი შრომის ნაყოფი იყო იგი. 1952 წლიდან ებრძოდნენ კლდის ქანებს ადამიანები გამოცდილ მეტროშენებელთა ჯგუფის მეთაურობით. წლებმა ახალგაზრდობას თანდათან მოუტანა მიწისქვეშ მუშაობის გამოცდილება და კიდევ ერთი საპატიო პროფესიის ადამიანები — მეტროშენებლები გამოჩნდნენ ჩვენს ქალაქში. სწორედ მათ აჩუქეს თბილისს მეტროპოლიტენი, ურომლისოდაც დღეს დედაქალაქი ალბათ ვერც წარმოვიდგენია.

ბევრი სასახელო ადამიანი შრომობს მიწის გულში. მათ შორის არის სოციალისტური შრომის გმირი გრუზა ობოლაძე.

ის არც ისე დიდი ხნისაა, მაგრამ უკვე მიწისქვეშ მუშაობის თვრამეტი წლის გამოცდილება აქვს. იგი თბილგვირაბმშენის კოლექტივში ერთ-ერთი პირველი მოვიდა და დღემდე თავდადებით ემსახურება საპატიო საქმეს.

გრუზა ობოლაძე დღეს ვეტერანია, მაგრამ მის ბრიგადაში ბევრია ახალგაზრდობა, რომელთათვის გამოცდილ მეტროშენებელთან შრომა ნამდვილი სკოლაა.

შარშან თბილგვირაბმშენებლებმა კვარტალების მაჩვენებლებით რამდენჯერმე გაიმარჯვეს ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ხოლო წელს ვადამდე შეასრულეს ამ თარიღისათვის ნაკისრი ვალდებულებანი, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ შრომის ვახტზე იმ კოლექტივებმა ისახელეს თავი, რომლებიც დამკვრელურ ობიექტებზე მუშაობდნენ. ასეთი ერთ-ერთი ობიექტია მეტროპოლიტენის გვირაბების მშენებლობა ნავთლუღის მიმართულებით. სწორედ აქ იყო და დღესაც აქ შრომობს გ. ობოლაძის ბრიგადა.

ჩვენ რამდენჯერმე გვინახავს გ. ობოლაძის ბრიგადის მუშაობა, როცა სადგურ „800 არაგველიდან“ „ისნის“ მიმართულებით მარცხენა გადასარბენი გვირაბი გაჰყავდათ. ბრიგადის წევრები მაშინ დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებდნენ, ცვლაში 10-15 პროცენტით აჭარბებდნენ დავალებებს. რთულ პირობებში შრომობდნენ გვირაბგამყვანები, მაგრამ პირობა ვადამდე გაანაღდეს. ამასთან მექანიზმების მოუცდენელი მუშაობით, მათი წარმადობის მაქსიმალურად გაზრდით რამდენჯერმე გვირაბის გაყვანის რეკორდიც დაამყარეს.

ბრიგადის შრომითს ენთუზიაზმს წარმართავდა და პირად მაგალითს აძლევდა თვითონ ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი გრუზა ობოლაძე, რომლის თავდადებას, ავტორიტეტს ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ და უწევენ მეტროშენებლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია „თბილგვირაბმშენის“ № 12 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი გრუზა ივანეს-ძე ობოლაძე.

ი რა დახასიათებას აძლევენ მას „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივის წევრები, ისინი, ვის გვერდთაც შრომობს გ. ობოლაძე.

ბ. კიწაარიშვილი, ლენინური კომკავშვილის ბრიგადის ხელმძღვანელი:

— გრუზა ივანეს-ძე ობოლაძე დაიბადა 1927 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1943 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1944 წელს სწავლა დაიწყო თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში. 1949 წელს გ. ობოლაძე უკვე მშობლიურ რაიონშია და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ჯერ მიწათმომწყობად, შემდეგ კი ტექნიკოსად მუშაობს.

1952 წლიდან, როცა დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა, კომკავშირელი გ. ობოლაძე ამ დამკვრელურ ობიექტზეა და თავდადებით შრომობს. მალე როგორც ინიციატორსა და მუყაითი მუშას ბრიგადირად აწინაურებენ, მისი ხელმძღვანელობით გვირაბგამყვანთა ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავე გახდა კოლექტივში.

ა. ჯვარიძე, ლენინური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— დეპუტატობის კანდიდატს გრუზა ობოლაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი კოლექტივის წინაშე, ამიტომ სარგებლობს ავტორიტეტით მშრომელებს შორის. მახსოვს, როცა საქართველოში გაჩაღდა შეჯიბრება კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვებისათვის, გ. ობოლაძე თავის ბრიგადასთან ერთად პირველი დადგა დამკვრელური შრომის ვახტზე. 1959 წელს მის ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება, ბრიგადირი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს.

გ. ობოლაძემ აღზარდა გვირაბგამყვანთა შესანიშნავი თაობა, საკუთარი გამოცდილება ბევრ ახალგაზრდას გააცნო, რითაც დიდად დაჩქარდა ჩვენი დედაქალაქის მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლობა. გვირაბგამყვანთა თავკაცთან შრომაში ერთად გატარებული რამდენიმე წელიწადი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ის დეპუტატობის ნამდვილად ღირსეული კანდიდატია. ხალხმაც ამიტომ დაასახელა.

კ. ლიუბავსკი, გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი:

— ხშირად მინახავს გ. ობოლაძე შრომის დროს. მის მოუღლელ მარჯვენას, მუყაითობას, გონებამახვილობას ყოველთვის მოვუხიბლავარ. 1961 წლიდან, როცა იგი სკკპ წევრი გახდა, მის საქმიანობაში მეტი პასუხისმგებლობა იგრძნობოდა. ეს ბრიგადის საუარმოო მაჩვენებლებსაც დეტყო. მისი ბიჭები პირველობას არავის უთმობდნენ.

1961 წელს გ. ობოლაძე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ორი წლის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა, 1965 წელს სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი იყო, ხოლო 1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ჩვენს კოლექტივში გ. ობოლაძემ პირველმა მოიპოვა „პროფესიაში საუკეთესო ოსტატის“ საპატიო წოდება.

გ. ობოლაძემ შრომასთან ერთად თავი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოიჩინა, 18 წლის მანძილზე ჩვენს კოლექტივში მან ბევრი კარგი რამ გააკეთა. დღესაც თავდადებით შრომობს, და მისი საქმიანობა ყველასათვის მისაბაძია. სწორედ ამიტომ დასახელეს ჩვენმა შრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

გვჯერა, გ. ობოლაძე ჩვენ ნდობას ამჯერადაც გაამართლებს.

თანასოფლელები ულოცავენ

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის მოწინავე კოლმეურნე, ეკა ტარასის ასული საქანია წამოყენებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ე. საქანია ყოველწლიურად თამბაქოს უხვ მოსავალს იღებს. გასულ წელს 2500 კვადრატული მეტრი ნაკვეთიდან მიიღო და სახელმწიფოს ჩაბარა 575 კილოგრამი სურნელოვანი თამბაქოს ფოთოლი, დაკალებაზე თითქმის ორჯერ მეტი. ეკა საქანია ამავე დროს ჩაის მოწინავე მკრეფავთა რიგებში დგას.

სურათზე: ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის უხუცესი, 95 წლის ძუკუ ლახურია (მარცხნიდან მეორე) თანასოფლელებთან ერთად ულოცავს ე. საქანიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებას.

ფოტო ი. ბოსოლელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეცნიერთა საზრუნავი

მეცხოველეობის პერსპექტიული პრობლემები

ამეცა საუკუნე მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი გარდაქმნებით ხასიათდება. ეს ადამიანის შრომის, კვებისა და ყოფის არსებული ტრადიციების ძირეულ ცვლილებებს იწვევს.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების დონეს უზრუნველყო მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპის განუხრელი აღმავლობა. ეს საკითხი ამ ბოლო დროს უცხოეთის თუ საბჭოთა პრესის სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. დემოგრაფების გაანგარიშებით ჩვენი წელთაღრიცხვის 1.000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 275 მილიონს შეადგენდა. ამ რაოდენობის ორჯერ გაზრდას (545 მილიონამდე) 650 წელი დასჭირდა. მოსახლეობის შემდგომი ბარკეტებისათვის მხოლოდ 200 წელი იყო საჭირო, ხოლო ამ რიცხვის კიდევ გაორკეცებისათვის უკვე 100 წელი გახდა საკმარისი. 1950 წელს მსოფლიოს მთელი მოსახლეობა 2.457 მილიონს შეადგენდა. დემოგრაფებისაგან გაანგარიშებით ჩვენი საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობა 6-7 მილიარდს მიაღწევს.

მოსახლეობის აღნიშნულ დონემდე გაზრდა საკვები რესურსების მკვეთრ გადიდებას მოითხოვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1966 წელს მსოფლიოში 5 მილიონი კაცი შიმშილით დაიღუპა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალების მიხედვით), მაშინ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანების გრანდიოზულობა უფრო ნათელი გახდება.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაზათალისწინებელია ის ცვლილებები, რომლებიც შრომის პროცესთან არის დაკავშირებული. მექანიზაციის დონის ამაღლებით და ინდუსტრიალიზაციით ადამიანი თანდათანობით თავისუფლდება მძიმე ფიზიკური შრომისაგან. სამეცნიერო სმარებიდან გამოგიდა გრიემლი, მუშას კურტანი მოშორდა, მიწას — გუთნისდედა, თოხნა კულტივაციით შეიცვალა და ა. შ. ყველაფერი ეს არსებით ცვლილებას იწვევს საყოფაო ნივთიერებათა მოთხოვნილების მხრივ. მძიმე ფიზიკური შრომისათვის აუცილებელი, მაღალკალორიული, მსუქანი საჭმელი თანდათანობით უთმობს ადგილს უცხიმო, ცილებით მდიდარ საკვებს. როგორც ბრესის მიმოხილვიდან ჩანს, აღნიშნული ტენდენცია ყველა ხალხისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, მეცხოველეობის უპირველესი ამოცანაა ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მოზარდი საქონლის ხორცის დიდი რაოდენობით წარმოებას უზრუნველყოფს. ეს ამოცანა ბევრნაირი საშუალებით შეიძლება გადაიჭრას. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საგრძნობლად უნდა გადიდდეს ფდა პირუტყვის ხვედრითი წონა ყველა სახეობის პირუტყვის საერთო სულადობის სტრუქტურაში.

დამკვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში ცხვრის საკვები ზაფხულობით სამჯერ მეტია. ზამთართან შედარებით საკვების ამგვარი დისპროპორციის გამო შევიმუშავეთ ცხვრის ისეთი სტრუქტურა, როდესაც ყოველ 100 სულ ცხვარზე 75-80 ნერბი მოდის. ამ შემთხვევაში ზაფხულში არსებული სულადობა ზამთარში 43 პროცენტით მცირდება, ხოლო ხორცის პროდუქცია — 40 პროცენტით, მატყლისა — 4,5 და რძის — 56 პროცენტით იზრდება ამ სტრუქტურასთან შედარებით, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა.

აღნიშნული სტრუქტურის გამოყენებით მიღებული ბატკნების 80-მდე პროცენტი 6-8 თვის ასაკი უნდა დაიკლას. ამიტომ მოშენებისა და ბატკნის გაზრდის ისეთი ხერხი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქციას დასაკლავ ასაკამდე. სპეციალური კომპლექსური ზოოტექნიკურ-ბიოლოგიური ცდების საფუძველზე ადგილობრივი ცხვრების მეხორცული ჯიშის ერკვმლებთან შეჯვარებისა და ბატკნის გაზრდის ისეთი ხერხი შევიმუშავეთ, რომელმაც უზრუნველყო 6-8 თვის ასაკის ბატკნის ცოცხალი წონის 38-42 კილოგრამამდე, ანუ 40 პროცენტით მატება. ასევე მატულობს მატყლის გამოსავლიანობაც.

აქ საყურადღებოა ისიც, რომ ცდებზე დაყრდნობილი პირუტყვის გაზრდის სათანადო ხერხის გამოყენებისას ადგილობრივ პირობებს ვერ ეგუება. სრულიად რეალური ამოცანაა იმერული ცხვრისა და ამ ჯგუფის შეჯვარებით მთაბარობის პირობებს შეგუებული ისეთი ცხვარი მივიღოთ, რომელიც თავის ბრუნვაში ორი წლის ასაკამდე სულ მცირე 8-10 ბატკანს, მაინც მოიგებს. ამ ჯგუფის კარგი მერძეულობის გამო ბატკნების გაზრდის რაციონალური ხერხის შემუშავება დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სელექციას, ზრდის ენერგიისა და საკვების ანაზღაურების მხრივ. წარმოების განსაზღვრული მოცულობის გამო ამ საკითხზე არ მოვიყვან ცდების მონაცემებს. აღვნიშნავ მხოლოდ იმ ცნობილ ფაქტს, რომ ყოველ მოზარდს ერთნაირი ზრდის ენერგია არა აქვს. ცხოველები მკვეთრად განსხვავდებიან აგრეთვე საკვების ანაზღაურების მხრივაც. ორივე ეს თვისება მემკვიდრეულია. ამიტომ ცხოველების გადარჩევა-შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათს როგორც ბევრი და იაფფასიანი პროდუქციის წარმოების ძირითად საშუალებას. ამგვარად, ჩვენ ჭურჭვეთ ადრეულა, მეხორცული ცხვრის ჯიშების მომენებას.

ყოველად შეუწყნარებელად უნდა ჩაითვალოს კბილი დორისა და მომთაბარე მეღორეობის მოსპობის ან თუნდაც მისი მასშტაბის შემცირების ცდა. აქ საყურადღებო სწორად ის არის, რომ მომთაბარეობის პირობებში მოფი კახური ჯიშის ღორი საუკეთესოა იაფფასიანი და მაღალხარისხოვანი, ადგილობრივ პირობებს ვერ ეგუება. სრულიად რეალური ამოცანაა იმერული ცხვრისა და ამ ჯგუფის შეჯვარებით ისეთი ცხვარი მივიღოთ, რომელიც თავის ბრუნვაში ორი წლის ასაკამდე სულ მცირე 8-10 ბატკანს, მაინც მოიგებს. ამ ჯგუფის კარგი მერძეულობის გამო ბატკნების გაზრდის რაციონალური ხერხის შემუშავება დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სელექციას, ზრდის ენერგიისა და საკვების ანაზღაურების მხრივ. წარმოების განსაზღვრული მოცულობის გამო ამ საკითხზე არ მოვიყვან ცდების მონაცემებს. აღვნიშნავ მხოლოდ იმ ცნობილ ფაქტს, რომ ყოველ მოზარდს ერთნაირი ზრდის ენერგია არა აქვს. ცხოველები მკვეთრად განსხვავდებიან აგრეთვე საკვების ანაზღაურების მხრივაც. ორივე ეს თვისება მემკვიდრეულია. ამიტომ ცხოველების გადარჩევა-შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათს როგორც ბევრი და იაფფასიანი პროდუქციის წარმოების ძირითად საშუალებას. ამგვარად, ჩვენ ჭურჭვეთ ადრეულა, მეხორცული ცხვრის ჯიშების მომენებას.

ყოველად შეუწყნარებელად უნდა ჩაითვალოს კბილი დორისა და მომთაბარე მეღორეობის მოსპობის ან თუნდაც მისი მასშტაბის შემცირების ცდა. აქ საყურადღებო სწორად ის არის, რომ მომთაბარეობის პირობებში მოფი კახური ჯიშის ღორი საუკეთესოა იაფფასიანი და მაღალხარისხოვანი, დაიკვლება. ეს საგრძნობლად გაზრდის ცილებით მდიდარი მაღალხარისხოვანი ძროხის ხორცის წარმოებას. თუ ერთჯერადი ძროხის ხბოს მიღებას ისეთ სეზონს დაუკავშირებთ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი დასაკლავ კონდიციამდე სუბალპურ საძოვრებზე გამოკვება, მაშინ ხარისხოვან ხორცთან ერთად დიდ ეკონომიურ ეფექტსაც მივიღებთ.

ასეთია ის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა, რომლებზეც მუშაობს ან უახლოეს დროში უნდა იმუშაოს ღომთაგორის მეცხვარეობის საცდელმა საგბჭოთა მეურნეობამ. ამ მეურნეობაში თავმოყრილია ენდემური თუშური და იმერული ჯიშის ცხვრები, ქართული კამეჩი, ხვასურული და მეგრული ჯიშის ძროხა. ეს ჯიშები დგანან გადაშენების ან სრული მოსპობის საშიშროების წინაშე, რაც დიდი დანაშაული იქნებოდა ჩვენი შთამომავლობის, წარმოებისა და მეცნიერების წინაშე.

საქმე ის არის, რომ ცხოველისა თუ მცენარის ჯიშის გაუჯობესება ცვალებადობისა და მემკვიდრეობის კანონებს ემყარება. მემკვიდრული ცვალებადობა არის ის საწყისი, რომლის რაციონალური გამოყენებითაც ბუნება თუ ადამიანი ახალ ფორმებს ქმნის. მუტაციური პროცესი ბუნებაში ისედაც მეტად ნელა მიმდინარეობს, ხოლო სელექციისათვის საყურადღებო მემკვიდრული ცვლილებები ასეულ წლებში ერთხელ ხდება. ამიტომ ბუნებრივ მუტაციაზე დამყარებული სელექციის ტემპი მხოლოდ ნაწილობრივ ეზრუნველყოფს დღევანდელ მოთხოვნილებას და ისიც მაშინ, თუ საუკუნეთა მანძილზე მიღებული ისეთი მემკვიდრული ცვლილებები, როგორიც არის იმერული ცხვრის მრავალნაყოფიერება, ხშირდოლიანობა, აღრეულობა, ხორცის მაღალი ხარისხი, თუშური ცხვრის მატყლის დრეკადობა, ბზინვა, ხვასურული და მეგრული ძროხის და კამეჩის რძის ღალიანობა თუ ცილების შემცველობა და სხვა ასეული წლების მანძილზე დაგროვილი მემკვიდრული ცვლილებები ყოველი ღონისძიებით იქნება შენარჩუნებული, თუნდაც მათი კულტურულ ჯიშებთან შეჯვარებით სელექციაში გამოსაყენებლად.

ენდემური ჯიშების დაცვა მათი ბვირფასი თვისებების შემდგომი სელექციისათვის — ეს ერთი მხარეა, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაგროვილ მუტაციათა გამოყენებას გულისხმობს. ამასთან ერთად აუცილებელია თვით ამ პროცესის ხელოვნური დაჩქარება, რაც ასალი ფორმების შექმნისა და პროდუქციის სწრაფი გადიდების საწინდარი იქნება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღომთაგორის მეცხვარეობის საცდელი მეურნეობისა და ზოოვეტინსტიტუტის გენეტიკის განყოფილების მეცნიერი მუშაკების თანამშრომლობით ინტენსიური ცდები მიმდინარეობს ცხვრებში ქიმიური ნივთიერებებით ინდუცირებული მუტაციების მისაღებად.

ამ გზით წარმოებული ცდებით დადგინდა, რომ მცენარეთა და მიკროორგანიზმთა მსგავსად, მაღალ საფეხურზე მდგომ სამეურნეო ცხოველებშიც შესაძლებელია მუტაციური ცვლილებების გამოწვევა. აღნიშნულ ცდებში — პირველად — მიღებულია ორი დომინანტური ინდუცირებული მუტაცია, ერთი კუდის ცვლილებას შეეხო, რაც წარმოებისათვის უსარგებლოა, ხოლო მეორე მეტად სასარგებლო გამოდგა. ერთგვაროვან მატყლიან ცხვრებში, რომელთა მატყლის სიგრძე საშუალოდ 10,5 სანტიმეტრი იყო, ხოლო მაქსიმალური 16 სანტიმეტრს არ აღეტატებოდა, წარმოიშვა ინდუცირებული მუტანტი, რომლის მატყლის სიგრძემ 24 სანტიმეტრს მიაღწია.

ამ ცდებით გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს მეცხოველეობის განუხრელი ზრდისათვის უაღრესად აქტუალური პრობლემა, რომელიც მუტაციური პროცესის დაჩქარებას ეხება. ამ პროცესის დაჩქარებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ეპოქაში, როდესაც ტექნიკისა და ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპების მეოხებით სწრაფად იცვლება მოთხოვნილება ცხოველების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ნიშანთვისებათა მეცვლისა.

ამ წერილის მიზანი ის იყო, რომ მოკლედ მოგვეხსენა ის გზები, რომლებმაც მეცხოველეობა მთლიანად უნდა გარდაქმნას. აღნიშნულ საკითხებთან ერთად მრავალი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემაც წამოიჭრება, რომელთა გადასაჭრელად აუცილებელი იქნება ადგილზე მომუშავე სამეურნეო და ადმინისტრაციული მუშაკების კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. ეს საერთო საქმის კარგი საწინდარი გახდება.

მიხ. რჩეულიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეროვნული ცხოვრება

მეტკიცედ დავიცვათ ეროვნული ინტერესები

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

გაიმართა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგები და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“.

მოძხსენებელმა — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობის უმრავლესობა მეტ ყურადღებას აქცევს მიწათსარგებლობის წესების დაცვას და მიწების რაციონალურად გამოყენებას.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული მიწების ამოშრობისა და ოწყვის საქმეში. კოლხიდის დაბლობის ამოშრობის მიზნით აფხაზეთის ტერიტორიაზე მომდინარე ხუთწყლიდან კაპიტალურმა დაბანდებებმა 12,8 მილიონი მანეთი შეადგინა. ამოშრობილ იქნა 30.771 ჰექტარი მიწა, სადაც შეიქმნა ჩაის ახალი საბჭოთა მეურნეობები.

ამასთან ერთად პლენუმზე აღინიშნა მიწისა და მიწათსარგებლობის კანონების დაცვის საქმეში აქ არსებული სერიოზული ხარვეზები და დარღვევები, რისთვისაც საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტის აპრილის პლენუმზე მკაცრად, მაგრამ სავსებით სამართლიანად იქნა გაკიცხული აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობა.

ამოშრობილი 30.711 ჰექტარი მიწიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოყენებულია მხოლოდ 18.959 ჰექტარი. განსაკუთრებით ცუდად იყენებენ ამოშრობილ მიწებს გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამაში მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრალი მიუძღვის „კოლხიდშენის“ გალის სამმართველოს (უფროსი ზ. გაბლიანი), რომელიც უხარისხოდ ატარებს სამელიორაციო სამუშაოებს.

სათანადო ბრძოლა არ წარმოებს მიწების ეროზიისაგან დასაცავად, რის შედეგადაც ავტონომიურ რესპუბლიკაში ყოველწლიურად ირეცხება და იტბორება 20 ათასამდე ჰექტარი ნაყოფიერი სავარგულები. უკანასკნელ ათ წელიწადში ეროზიამ დასამუშავებელი მიწების ბალანსს გამოაკლო 6 ათას ჰექტარამდე სავარგულები. ორი ათას ჰექტარზე მეტი ძიწა სრულიად გამორიცხულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და ველ-ბარდით ირის დაფარულია.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ მიწების სტიქიური მოგლეჯებისაგან დასაცავად.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფერდობებზე ნიადაგდამცავი ბალახების თესვას, ნიადაგის გაკრიალებისა და ტორფის შეტანის დავალებათა შესრულებას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეებსა და ტყის მასივებს მიწების შენახვაში, მათი ნაყოფიერების ამაღლებასა და ჰავის გაუმჯობესებაში, მაგრამ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ბრსებული სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებენ ტყის დაცვის, მოვლისა და გაშენების საქმეში, ადგილი აქვს მის უსისტემოდ, თვითნებურად გაჩეხვას.

პლენუმზე მოყვანილ იქნა ცალკეულ რაიონებში მიწების განაგების ფაქტები. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აფხაზეთში არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ იქნა 12.170 ჰექტარი მიწა, მათ შორის 367 ჰექტარი, სავარგულები და მრავალწლიანი ნარგავები.

პლენუმის მონაწილეებმა პრეტენზიები წაუყენეს პარტიის რაიკომებსა და რაისაბჭოების აღმასკომებს, რომლებიც პრინციპულად არ იბრძვიან მიწათსარგებლობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ბევრგან იდგილი ჰქონდა მიწის კანონის დარღვევის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიწების გაფლანგვა-დატაცების ფაქტებს. ყველაზე მახინჯი ფაქტები, გამოვლინებულ იქნა გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებში.

ამას წინათ ეს საკითხი საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. ბიურომ ამ დარღვევებისათვის სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარე ვ. ქობალია გარიცხა სკკპ რიგებიდან და კოლმეურნეობის სანერთო კრებას რეკომენდაცია მისცა გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან. სოხუმის რაიონის ბესლეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ბ. ასმაზს კოლმეურნეობა „აბეკეკვის“ თავმჯდომარეს ა. ბერულავას, გუდაუთის რაიონის ფსირცხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. პოლსანს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათებში შეტანით. აღნიშნული სასოფლო საბჭოების სესიების და კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რეკომენდაცია მიეცათ გაათავისუფლონ ისინი თანამდებობებიდან. ანალოგიური რეკომენდაციებისათვის სოხუმის რაიონის თავისუფლების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. პილოსიანი და გულრიფშის რაიონის ჭაჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძ. ცქვეტარია განთავისუფლებული არიან თანამდებობებიდან.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მიწათსარგებლობის კანონის დაცვის საქმეში.

მიწათსარგებლობის წესების მტკიცედ დაცვის მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საქართველოს კპ გუდაუთისა და გაგრის რაიკომების პირველმა მდივნებმა ვ. ტანიამ და ლ. ღურწკაიამ, გულრიფშის, გალის, სოხუმის, ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა გ. დავითაიამ, ვ. ეზუგბაიამ, ლ. რგვავამ, ო. ურიდიამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ბერულავამ, გულრიფშის რაიონის ჭაჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიბიურის მდივანმა ვ. ქირიამ და სხვებმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ი. ბოგვერია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იმაღლებენ ცოდნას

ერთი სემინარის მეცადინეობაზე

მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიისადმი ინტერესი და პროპაგანდისტული მუშაობისადმი მისწრაფება შოთა ჩაჩანიძეს სტუდენტობიდანვე აღეძრა. ჯერ კიდევ 1938 წელს, როცა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობდა, მათემატიკის ფაკულტეტზე კომკავშირული პოლიტწრის პროპაგანდისტად მუშაობდა. ახალგაზრდა პროპაგანდისტი ყოველთვიურად ცდილობდა მეცადინეობისათვის საფუძვლიანად მომზადებულიყო, მისი საუბარი შინაარსიანი, მიმზიდველი ყოფილიყო, მსმენელები დაეინტერესებინა. წიგნზე გულმოდგინე მუშაობით პროპაგანდისტი მიზანს აღწევდა, მსმენელები კმაყოფილებას არ ფარავდნენ.

პირველი ნათლობის შემდეგ შ. ჩაჩანიძე პროპაგანდისტად დაამტკიცეს თბილისის ობრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. იგი ფაბრიკის ახალგაზრდობასთან სამ წელს ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას. მისი საუბრები გამოირჩეოდა სიღრმით, სიცხადით, მაღალი იდეურობით.

სტუდენტობის წლებმა განვლო. 1940 წელს შ. ჩაჩანიძე მშობლიურ ქალაქში დაუბრუნდა და ამავე წელს ზოდის საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. ამავე დროს ზოდის კოლმეურნეობაში პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი და პარტიის მეათეურის რაიკომის შტატგარეშე ლექტორი იყო.

დაიწყო სამამულო ომი. 1941 წლის დეკემბრიდან შ. ჩაჩანიძე არმიაში იყო. კომუნისტურ პარტიაშიც იქ მიიღეს. პროპაგანდისტულ მუშაობასაც არ წყვეტდა. ჯერ სასაზღვრო ჯარების შენაერთში, ხოლო შემდეგ მოქმედ არმიაში იყო პროპაგანდისტად.

ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა. 1944 წლიდან მუშაობს განათლების განყოფილებაში, პარტიის რაიკომში. ამასთანავე იყო პროპაგანდისტად ოზურგეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ბრსებული სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებენ ტყის დაცვის, მოვლისა და გაშენების საქმეში, ადგილი აქვს მის უსისტემოდ, თვითნებურად გაჩეხვას.

პლენუმზე მოყვანილ იქნა ცალკეულ რაიონებში მიწების განაგების ფაქტები. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აფხაზეთში არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ იქნა 12.170 ჰექტარი მიწა, მათ შორის 367 ჰექტარი სავარგულები და მრავალწლიანი ნარგავები.

პლენუმის მონაწილეებმა პრეტენზიები წაუყენეს პარტიის რაიკომებსა და რაისაბჭოების აღმასკომებს, რომლებიც პრინციპულად არ იბრძვიან მიწათსარგებლობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ბევრგან იდგილი ჰქონდა მიწის კანონის დარღვევის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიწების გაფლანგვა-დატაცების ფაქტებს. ყველაზე მახინჯი ფაქტები, გამოვლინებულ იქნა გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებში.

ამას წინათ ეს საკითხი საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. ბიურომ ამ დარღვევ

თანამშრომლობა ფართოვდება

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIV სესია

ვარშავა, 12 მაისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIV სესია, რომელიც ეძღვნება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების გეგმების განხილვას.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. შტოფი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაიერი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ე. ფოკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესაბამისად სესიაში მონაწილეობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია.

სესია გახსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა. მან სესიის მონაწილეებს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

დილის სხდომაზე დაამტკიცეს სესიის მუშაობის დღის წესრიგი.

მოხსენება — „ლენინის იდეები ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობაში" — გააკეთა ი. ცირანკევიჩმა.

ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIV სესია, თქვა ი. ცირანკევიჩმა, მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა მსოფლიო აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სესიის წინაშე დგას ამოცანა განვიხილოთ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფისა და სოციალისტური ინტერგრაციის განვითარების პროგრამა, ლენინის წლისთავისა და ჩვენი შეხვედრის დამთხვევას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ნახევარი საუკუნის გამოცდილებით, ბრძოლითა და შრომით გამდიდრებული ლენინის იდეები თანამედროვე მსოფლიოს გარდაქმნის ყველაზე მძლავრი ფაქტორი გახდა. ლენინი ახალი ეპოქის სიმბოლოა, ხოლო ლენინის მოძღვრება მსოფლიოს გარდამქმნელი მძლავრი ძალაა. ამას უცილობლად ადასტურებს ისტორიულ მოვლენათა განვითარება უკანასკნელი 50 წლის მანძილზე.

სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, — განაგრძო ი. ცირანკევიჩმა, — ეს არის სუვერენული ქვეყნების ნებაყოფლობითი კავშირი, რომლებსაც აკავშირებთ საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები, საერთო ინტერესები და სოლიდარობა მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

სოციალიზმის ისტორიული თვალსაზეურებაა ის, რომ იგი ქმნის სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო ინტერესებთან ცალკეული ქვეყნების ინტერესების შერწყმის საუკეთესო შესაძლებლობებს.

მსოფლიო სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა, თქვა შემდეგ ი. ცირანკევიჩმა, — თვითეული რევოლუციონერის, თვითეული კომუნისტის მოვალეობაა. უწინარეს ყოვლისა ამით მოწმდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძალა და ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება.

ჩვენ ვრთი წუთითაც არ ვიგიწყებთ იმას, რომ საფრთხე მოგველის იმპერიალიზმის მხრივ. ამერიკის ახალი უხეში აგრესია კამბოჯაში შეშფოთების კიდევ ერთი სიგნალია მსოფლიოს მეოელი სოციალისტური, დემოკრატიული და პროგრესული ძალებისათვის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობას უკანასკნელი წლების მანძილზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამშრომლობის მარტივი ფორმებიდან გადასელა უფრო რთულ ფორმებზე, გადასვლა შრომის ნამდვილ განაწილებაზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ახლა ხდება სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის უნიმნელოვანესი პრობლემა, ხოლო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური სტრუქტურის სრულყოფა ჩვენს დროში ორი სისტემის შეჯიბრების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. საჭიროა, ხაზი გაუსვა ი. ცირანკევიჩმა, გაბედულად, ლენინურად ვხედავდეთ შორეულ მიზნებს და ვახორციელებდეთ მათ ლენინური თანმიმდევრობითა და სოლიდარობით.

ი. ცირანკევიჩმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის წარმატებით განვითარებას. მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნების წილი, რომელიც ეროვნულ შემოსავლით განიზომება, განაცხადა მან, ამჟამად შეადგენს დაახლოებით 25 პროცენტს, ხოლო მათი ჩვეიდრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში თითქმის მესამედამდე გაიზარდა.

ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და ასრულებს საბჭოთა კავშირი, განაცხადა ი. ცირანკევიჩმა. სსრ კავშირი სამრეწველო მოწყობილობის მთავარი მიმწოდებელი იყო ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით მათი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ, ყველაზე ძნელ ეტაპზე, და უაღრესად დიდმნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებას უწევდა მათ.

სსრ კავშირი წამყვან როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო გახდა სოციალისტური ტიპის საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციის ახალი ნიმუში, მას საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემის, ურთიერთხელსაყრელი და მეგობრული ურთიერთდახმარების ლენინური პრინციპები. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო იმთავითვე იყო დიდ ორგანიზაცია და არა კერდაშეული ეკონომიური დაჯგუფება.

თვითეული ჩვენგანისათვის საკვლევად გასაგებია, რომ სოციალისტური ინტეგრაციის დარგში ბევრი რთული ღონისძიების განხორციელება ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII სესიაზე ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ განგვესაზღვრა პროგრამადა, მაშასადამე, ცალკეულ ამოცანათა შესრულების რიგითობა და ვადები, აგრეთვე ამისათვის საჭირო სახსრები.

სოციალისტური ინტეგრაციის ეს პროგრამა ლენინური თეორიისა და სტრატეგიის თანმიმდევრული გამოყენებაა ჩვენი ეპოქის სოციალისტური თანამეგობრობის ძირითადი ეკონომიური პრობლემების გადაჭრაში.

დასასრულ ი. ცირანკევიჩმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის იდეებს მომავე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური შეკავშირების განმტკიცებისათვის.

მსოფლიო დღეს

ლიბანი

ვერაგული შეჭრა

პრემიერ-მინისტრ რ. კარამეს განცხადება

ბეირუთი, 12 მაისი. (საკდესი). **ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ გააკეთა განცხადება ბეირუთის რადიოთი ქვეყნის სამხრეთ რაიონების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით.**

დღეს დილის 4 საათსა დ 45 წუთზე, თქვა კარამემ, ისრაელი ვერაგულად შემოიჭრა ლიბანის ტერიტორიაზე რამდენიმე მიმართულებით. ჩვენი არმია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, თავგანწირვით იცავს სამშობლოს საზღვრებს. ვერაგი მტერი, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ოროგორც ყოველთვის ცდილობს აერესია გამამართლოს პირტიზანთა მოქმედებით ლიბანის სასაზღვრო რაიონებში. მაგრამ ისრაელის ყალბი პრომპაგანდა, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, ვერ დამალავს იმ ქეშმარიტებას, რომ მხოლოდ ისრაელს ეკისრება პასუხისმგებლობა არაბული მიწების ოკუპაციისა და იქიდან პალესტინელი ხალხის განდევნისათვის, რომელიც ახლა შეიარაღებულ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებს თავის კანონიერ უფლებათა დასაცავად.

დაგმეს აგრესორი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საკდესი). ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშრობების საბჭომ, რომელიც გუშინ ლიბანის მთავრობის თხოვნით შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე ისრაელის შეიარაღებული ძალების ლიბანის ტერიტორიაზე შემოსასვლელ დაკავშირებით, ერთხმად მიიღო ესპანეთის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი. რეზოლუცია მოითხოვს „დაუყოვნებლივ გაიყვანოს ისრაელმა მთელი შეიარაღებული ძალები ლიბანის ტერიტორიიდან".

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა საპრაგედურო ხრიკებისა და ესპანეთის პროექტის შესწორებათა საშუალებით სცადეს ისრაელი აგრესორების საამებელი გადაედოთ კენჭისყრა. მაგრამ ეს ცდები ჩაიფუშა. საბჭომ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მიერ შეტანილი შესწორება, რომლის აზრი ის იყო, რომ აგრესორის მთელი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის აშკარა მოთხოვნა შეიცვალა თხოვნით „მთელი საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის" შესახებ.

უშიშროების საბჭოში რეზოლუციის მიღების ისრაელის მორიგი შეიარაღებული პროვოკაციის საკითხზი წინ უძღოდა დისკუსია, რომელიც გადაიქცა აგრესორის დაგმობად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმ, რომელიც გამოვიდა სხდომაზე, დაადასტურა, რომ მის მიერ მიღებული წერილობითი მოხსენების თანახმად ისრაელის ჯავშანსატანკო ნაწილები 12 მაისს დილაადრიანს შეიჭრნენ ლიბანის სამხრეთ რაიონში.

ლიბანის წარმომადგენელმა ე. გორამ განაცხადა: დღეს ჩვენ მოწმე ვართ საომში აგრესიისა, რომელიც ისრაელმა დაიწყო. ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ. აგრესორი ანგრევს მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. ქვეყანამ განაცხადა დიდი მატერიალური ზარალი, არის მსხვერპლი. ეს აგრესია, თქვა მან, მოხდა მას შემდეგ, რაც ისრაელი რამდენჯერმე დაემუქრა ლიბანს, კერძოდ, განაცხადა, რომ ვადაბეგიულ ზონად აქცევს ლიბანის სამხრეთ ნაწილს.

ისრაელის წარმომადგენელი ტეკოა ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა ტელ-ავივის ანექსიონისტური მოქმედება. ისრაელის ჯარების აგრესიულ აქციას ლიბანის წინააღმდეგ მან უწოდა „თავდაცვითი" და აშკარა ფაქტების მიუხედავად ახლო აღმოსავლეთში ძალთა ერთიანების გართულებისათვის პასუხისმგებლობა სორდა დაეკისრებინა არაბული ქვეყნებისათვის. ტეკოას თავხედურ გამოსვლას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს უშიშროების საბჭოს მთელმა რიგმა წევრებმა.

მდგომარეობა კამბოჯაში

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საკაგენტო იუწყება, მეკონგში მოქმედი ამერიკა-საიგონის სამხედრო ფლოტილია კიდევ თითქმის 80 კილომეტრზე ავსვა მდინარეს და გუშინ მიუახლოვდა კამბონგტიამს — კამბოჯის სიდიდით მეორე ქალაქს. ამ ფრონტზე, აღნიშნავს საკაგენტო, ამერიკისა და საიგონის ჯარები მეტად ღრმად შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე.

ფლოტილიის ნაწილი, რომელშიც შედის ასზე მეტი ქვემეხიანი ნავი და სხვა ბომალდი, პნომპენში დარჩა, სადაც 11 მაისს გადასხეს დესანტი.

ამერიკის პრესა ბეჭდავს ცნობებს, რომლებიდანაც ჩანს, რომ ვაშინგტონსა და საიგონს შორის არის უსიტყვო შეთანხმება კამბოჯის ტერიტორიაზე შემდგომი მოქმედების შესახებ.

იმ დროს, როცა თეთრი სახლი ცდილობს დაამშვიდოს ამერიკის საზოგადოებრიობა და შეანელოს უკმაყოფილება და პროტესტები, რისთვისაც ამტკიცებს, თითქოს განსაზღვრული იყოს კამბოჯიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გამოყვანის რაღაც ვადები, საიგონისათვის გახსნილია კამბოჯის ტერიტორიის ნაწილის ფაქტიურად უვადო ოკუპაციის გზა.

□

ოგასწერი

ერთ-ერთი ... ...

უბედურების მიზეზი — სანადირო თოფი!

ღია წერილი საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ს. როსტიაშვილს

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები სერიოზულად ჩაგვფიქრა რესპუბლიკაში სანადირო იარაღით მომხდარ დანაშაულთა და უბედურ შემთხვევათა დიდმა რიცხვმა.

როგორც ცნობილია, ჩვენში გლუვლულიანი სანადირო თოფი იარაღის ერთადერთი უველასათვის ხელმისაწვდომი სახეობაა. საკმარისია მოქალაქემ ჩაბაროს სამონადირეო მინიმუმი და, თუ იგი ადრე წესრიგის დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, მას უფლება აქვს გახდეს მონადირეთა კავშირის წევრი და ამდენად, გლუვლულიანი იარაღის მფლობელიც.

ჩვენი თხოვნის პასუხად სამინისტრომ შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით სანადირო თოფებით ჩადენილ დანაშაულთა ამსახველ მონაცემებს. ამ მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ აღრიცხულ უბედურ შემთხვევათა და დანაშაულთა უდიდესი ნაწილი სანადირო იარაღის შენახვის წესების უხეშად დარღვევის შედეგია.

ჩვენ არა ერთ და ორ ისეთ ფაქტს წავაწყდით, როდესაც სწორედ ამ მიზეზის გამო საზარელი შემთხვევები ხდება.

მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ დოესში მცხოვრებმა მონადირეთა კავშირის წევრმა ვ. ბეგლარიშვილმა ეზოში დატოვა დატენილი გლუვლულიანი თოფი. იარაღი იოლი ხელმისაწვდომი გახდა არასრულწლოვანი ი. ბეგლარიშვილისათვის, რომელმაც შემთხვევით გასროლით დაჭრა თავისი დედა.

ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანში უყურადღებოდ დატოვებულ სანადირო თოფს დაეპატრონა არასრულწლოვანი ი. ვარდოსანიძე, რომელმაც შემთხვევით გასროლით მოკლა თავისი თანაკლასელი მ. გუიძე.

ქ. ზუგდიდში კრუპსკაიას ქუჩაზე მცხოვრებმა არასრულწლოვანმა პროდიჩუკმა გამოიტანა მამის სანადირო თოფი და შემთხვევით გასროლით მოკლა მეზობლის ბავშვი.

დასახელებული ფაქტები ერთეული შემთხვევები როდია. რესპუბლიკაში მრავალი მაგალითია იმისა, როდესაც სანადირო თოფების, ვაზნების, დენთის შენახვის წესების უხეში დარღვევის შედეგად სახიჩრდებიან და იღუპებიან მეტწილად არასრულწლოვანები.

ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს მკაცრი კონტროლი აქვთ დაწესებული სანადირო იარაღის გაყიდვასა და რეგისტრაციაზე. როგორც მოგეხსენებათ, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მილიციის მუშაკების მიერ გამოვლენილია გლუვლულიანი თოფების შენახვის დამრღვევი მონაკავშირის რამდენიმე წევრი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო არა აქვთ საშუალება სისტემატური და ეფექტიანი კონტროლი განახორციელონ მონკავშირის წევრთა მიერ სანადირო იარაღის და მისი აღჭურვილობის შენახვის წესების დაცვაზე.

დაგვერწმუნეთ, რომ 62.000 კაცის პერიოდული შემოწმება შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებისაგან დიდი დროის დახარჯვას და სხვა არანაკლებ საპასუხისმგებლო უნებებზე მუშაობის შესუსტებას გამოიწვევს.

ჩვენი აზრით, მონკავშირის წევრთა მიერ იარაღის შენახვაზე კონტროლისათვის უფრო სრულად უნდა იქნას გამოყენებული თვით მონკავშირის შესაძლებლობანი. ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ყოველ ქალაქსა და რაიონში მონადირეთა კავშირის ადგილობრივ განყოფილებებში რესპუბლიკის იმ მოწინავე ადამიანებისაგან, რომლებიც მონადირეთა კავშირის წევრები არიან, შეიქმნება სპეციალური ჯგუფები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ ჯგუფებს მიეცეთ უფლება პერიოდულად შემოიარონ კავშირის წევრთა ბინები და შეამოწმონ იცავენ თუ არა ისინი სანადირო იარაღისა და მისი აღჭურვილობის შენახვის წესებს.

ვთვლით, რომ შენახვის წესების დარღვევის ან უგულებელყოფის ფაქტის დადგენის შემთხვევაში ჯგუფის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა ჩამოართვან იარაღი დამრღვევს, ხოლო მის მიმართ მასალები გადმოსცენ განსახილველად საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმს.

გთხოვთ, თუ შესაძლებლად თვლით ჩვენი წინადადების განხორციელებას, გამოეხმაუროთ ჩვენს წერილს.

პატივისცემით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები:

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი; აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი, აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, აკადემიკოსი ლევან უანჩაველი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე, პროფესორი გელა ბანძელაძე, პროფესორი ილია თავაძე, პროფესორი ბორის უურაშვილი, მწერალი ლევან გოთუა. კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თენგიზ მუშკუდიანი.

ტელეფილმებით მსოფლიოს ირგვლივ

მეცხრე საერთაშორისო...

მესამე დღეა თბილისში, სასტუმრო „ივერიის“ კონფერენცდარბაზში მიმდინარეობს საბჭოთა ტელეფილმების მე-9 საერთაშორისო დათვალიერება, რომელიც ეწყობა ინტერვიზიის საბჭოს გადაწყვეტილებით. დათვალიერების დროს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არჩევენ პროგრამებსა და ფილმებს, რომლებსაც შემდეგ უჩვენებენ ინტერვიზიის სისტემაში შემავალ სახელმწიფოთა ტელევიზიით.

თბილისში დათვალიერებაზე ჩამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, შვეიცარიის წარმომადგენლები, რომლებიც ნახავენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სტუდიაში ამ ბოლო ნახევარი წლის მანძილზე შექმნილ პროდუქციას.

დათვალიერებაზე წარმოდგენილ ფილმებს შორის არის დოკუმენტური სურათები „ლენინის ანდერძით“, „საბჭოთა ქეყანაში“, მხატვრული სურათები „მისი აღმატებულების ადიუტანტი“, „ვარკას მიწა“, „ფროტი ორღობეში“, „კლავა ივანოვას შესახებ“. სულ ხანგრძლივი იქნება სამოცდაათამდე ნამუშევარი.

მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგება დათვალიერებაზე საბჭოთა ტელევიზია, რომელიც აჩვენებს დოკუმენტურ ფილმებს: „საქართველოს გზებზე“, „ფრესკა“, „ფეხბურთი უბურთოდ“, მხატვრულ ფილმებს „ბედის უკუღმართობა“, „ქოკა“, მუსიკალურს „ორერა, სრული სვლით“, „ყველაფერი ქარიშხალი“, „ვაჟთა გული“, „ძველი თბილისის მოტივები“.

დათვალიერება გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის საერთაშორისო გაცვლის სტუდიის მთავარი რედაქტორის მოადგილემ მ. ალექსანდროვმა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა სატელევიზიო ფილმების დათვალიერების დროს მონაწილენი შეარჩევენ საინტერესო და შინაარსიან ფილმებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანამოადგილე — საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ვალიკაშვილმა, ტელევიზიის მუშაკმა — ესტონელ ტელევიზიის მონაწილეებს ამ ლონისძიების დადებითი როლი ხალხების დაახლოებისა და ურთიერთგაცნობის საქმეში.

საბჭოთა ტელეფილმების მე-9 საერთაშორისო დათვალიერება 19 მაისამდე გაგრძელდება.

ზ. რცხილაძე.

მოასლოვდა გამოცდები

სულ ცოტა ხანიც, და რესპუბლიკის სკოლებში გამოცდები დაიწყება, ხოლო ათასობით ქალიშვილისა და ჭაბუკისთვის ეს იქნება მშობლიურ სკოლასთან გამოთხოვების ჟამი.

საქდისის ფოტოკორესპონდენტმა ი. დავითაშვილმა ფირზე აღბეჭდა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეები. ისინი ხშირად იკრიბებიან ბაღში მშობლიური სკოლის წინ, ემზადებიან გამოცდებისთვის სიმწიფის ატესტატზე, საუბრობენ მომავალ პროფესიაზე, სამუშაოზე.

(საქდისის ფოტოქრონიკა).

გ. გოგოხია

გარდაიცვალა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე სკკპ წევრი 1944 წლიდან გალაქტიონ ზოსიმეს-ძე გოგოხია. იგი დაიბადა 1915 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. 1937 წელს შეეფადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1942 წელს მუშაობა დაიწყო ფალენჯიხის რაიონის პროკურატურაში სახალხო გამომძიებლად. მალე კი პროკურორის თანაშემწედ დაწინაურდა. შემდეგ მან რამდენიმე წელი იმუშავა ქ. თბილისში კალინინის რაიონის პროკურორის თანაშემწედ.

1951 წელს გ. გოგოხია აირჩიეს ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის 30 წლის მანძილზე გ. გოგოხიამ დაიმსახურა პირუთვნელი და პრინციპული მუშაკის სახელი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველგან, სადაც კი მუშაობდა, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

გულისხმიერი მუშაკის გ. გოგოხიას სსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს ამა-ბარეში

ბუნების უნიკალური ძეგლები

ამბროლაური. (საკ. კორ.). ზემო კრიხში ბუნებისმოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს ძველი გუმბათოვანი ეკლესიის ეზო. აქ თქვენ ნახავთ ბზის ულამაზეს კორომებს, საუკუნოვან ხეებს. მთელი შემოგარენის მშვენებაა განიერი, მხრებგაშლილი ცაცხვი, რომლის ტანის გარშემოწერილობა 13 მეტრია. ამ გოლიათი მცენარის ღრუში ერთ დროს ჩაუმარხავთ ორი სამფუთიანი ქვევრი. მათგან ერთი ახლაც ადგილზეა. ყურადღებას იქცევს ლამაზი ურთხმელი, რომელსაც ქოლგისებურად გაუშლია ტოტები.

მცხოვრებლები სათუთად უვლიან ბუნების ამ უნიკალურ ძეგლებს.

მასპინძლობენ პიონერები

ბორელი პიონერები დიდი ხანია მეგობრობენ მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქების პიონერებთან. ამას წინათ გორში თავი მოიყარეს მოძმე რესპუბლიკების პიონერთა წარმომადგენლებმა. სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქისა და რაიონის ღირსშესანიშნავი ადგილები. მოიწყო შეხვედრა პირველი საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში. ამ სკოლის ეზოში სტუმრმა პიონერებმა საფუძველი ჩაუყარეს მეგობრობის ხეივანს. (საქდისი).

შემთხვევა

მამაცი მონადირე

ლენტეხი. (საკ. კორ.). სოფელ ხაჩეშს ამას წინათ მგლები შეეჩვივნენ. მცხოვრებლებმა გამოცდილ მონადირეს ა. ჩარქსელიანს სთხოვეს დახმარება.

გამოცდილი მონადირე მგლების კვალს გაჰყვა და ტყის ხუთ მტაცებელს წაადგა თავს. ზედიზედ იგრიალა თოფმა. მან ორი გასროლით სამი მტაცებელი გამოასალა სიცოცხლეს. ა. ჩარქსელიანმა ხაჩეშელთა მადლობა დაიმსახურა.

თბილისი—პრაღა

ეხმარებიან მეგობრებს

ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობიდან დაბრუნდა თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის მუშაკთა ჯგუფი, რომელიც პრაღას ეწვია ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების მიწვევით. ერთი კვირის მანძილზე თბილისელები ეცნობოდნენ პრაღის მეტროპოლიტენის მშენებლობის მიმდინარეობას, რომლის პირველი რიგის ამოქმედება გათვალისწინებულია 1974 წლისათვის.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მცხოვრებლები დიდი ინტერესით აღიქვამენ ყველა ცნობას თავიანთი მიწისქვეშა პროსპექტების მშენებლობის შესახებ, განუცხადა საქდისს კორესპონდენტს ჯგუფის ხელმძღვანელმა, თბილისის მეტროპოლიტენის უფროსმა ნ. დ. ბერიძემ. მზარდი ქალაქის სატრანსპორტო პრობლემები ხომ ბევრად გადაწყდება მეტროს ამოქმედების შედეგად. ჯერჯერობით პრაღის ცენტრში მოძრაობა იხეთი ინტენსიურია, რომ ტრამვაი, მაგალითად, 15 წამის ინტერვალით დადის.

ქართველმა სპეციალისტებმა, რომლებმაც მეტროს მშენებლობისა და ექსპლოატაციის დიდი გამოცდილება შეიძინეს რელიეფისა და გრუნტის რთულ პირობებში, ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს გააცნეს თავიანთი შენიშვნები სადგურების, ექსკალატორების მშენებლობის პროექტების, მოძრავი შემადგენლობის შესახებ.

პრაღელ მეტრომშენებელთა ჯგუფი უახლოეს ხანში ჩამოვა თბილისში, გაეცნობა საქართველოს დედაქალაქის მეტროს მშენებლობას. (საქდისი).

ახალი საცხოვრებელი

ვიატუერა. (საქდისი). ამას წინათ მანგანმშენის ტრესტმა კომკავშირის ქუჩაზე დაამთავრა ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლის მშენებლობა.

მწყობრში დგება ახალი საცხოვრებელი სახლები. ორი მრავალსართულიანი სახლი გადაეცა საექსპლოატაციოდ ლენინის ქუჩაზე. აქვე საფუძველი ჩაეყარა 14-სართულიანი სახლის მშენებლობას. ხუთწლიდის დამამთავრებელ წელს მაღაროელთა და მშენებელთა ოჯახები 12.000 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ.

ახალი ხიდი

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ ციხიას კარგი საგზაო ნაგებობა შეემატა. მდინარე ღვალანაზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაპიტალური, ლითონკონსტრუქციის ხიდი. იგი სოფლის მცხოვრებლებს მოკლე გზით აკავშირებს ორპირ-სოჩხეთის საავტომობილო შარაგზასთან.

კოლეფურნეობამ ეს ხიდი თავისი სახსრებით ააგო.

ოთხი ტურის შემდეგ

ვიტებსკი. 13 მაისი. (სპეც. კორ.). მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირზე გათამამდა ოთხი ტური.

მეოთხე ტურში ჩეჩელიანმა მოუგო ბელიავსკის, კაპენგუტმა — კივლანს, ეტრუკმა — ლობოდას, გრიგორიანმა — რატოვს, პეტკევიჩმა — შუსტერმანს, ბუტნორიუსმა — პეტროსიანს. კუპრეიჩიკ-ბაგირ ოვის პარტიაში ყაიმი აღინიშნა, უნილავამ რთულ პოზიციაში გადადო პარტია ჭელიანდინოვთან.

4 ტურის შემდეგ ლიდერები არიან — ჩეჩელიანი, ბაგიროვი, ეტრუკი და კაპენგუტი — სამ-სამი ქულა.

ორმაგი გამარჯვება

დუშანბეში დამთავრდა ტაჯიკეთის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მათ მოიპოვეს ორმაგი გამარჯვება — გუნდურში, პირადში.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ბაიუმელი ს. პარფენიდი თანაქალაქელ გ. სარხოიანთან ერთად გახდა ტაჯიკეთის ჩემპიონატის აბსოლუტური გამარჯვებული.

მონრეალსა და დენვერში

ამსტერდამში მიმდინარეობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 69-ე სესია. გადაწყდა, რომ 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობა გაიმართოს კანადის ქალაქ მონრეალში, ხოლო ამავე წლის ზამთრის ოლიმპიადა — ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში (კოლორადოს შტატი).

ორმაგი

„დინამო“ — მერვეددფინალში

სსრ კავშირის თასზე

გუშინ თბილისში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე მეთექვსმეტედფინალური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის.

შეხვედრა საინტერესო, თანაც უხვგოლიანი აღმოჩნდა. მეტოქეებმა 6 ბურთი გაიტანეს. წარმატება დინამოელებს ხვდათ ანგარიშით 4:2. ისინი მერვედფინალში გავიდნენ.

ანგარიში ლოკომოტიველებმა გახსნეს, 27-ე წუთზე ბურთი ჯორბენაძემ გაიტანა. დინამოელებმა წონასწორობა 54-ე წუთზე აღდგინეს, გოლის ავტორი პეტრიაშვილი იყო. 66-ე წუთზე გავაშელმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი 2:1, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ხუციშვილმა გაათანაბრა ანგარიში— 2:2. ბოლო წუთებში პეტრიაშვილმა და გავაშელმა დამატებით 2 ბურთი გაიტანეს — 4:2 „დინამოს“ სასარგებლოდ.

აი მეტოქეთა შემადგენლობა: „დინამო“ — სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე (ჭითაური) ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, მჭედლიშვილი (ბურჯანაძე). გავაშელი, ლ. ნოდია; „ლოკომოტივი“ — ბერიძე, (აკობია), ფრიდმანი, პანოვი, ქელეხიძე, შხვაცაბაია, ბახტაძე, ჯორბენაძე, ჭოლაძე, მაზიაშვილი, ხუციშვილი, ჭელიძე.

დანარჩენი მატჩები

აი სხვა მატჩების შედეგები: „ავანგარდი“ (ტერნოპოლი) — სკა (დონის როსტოვი) 2:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ფალგარისი“ (ვილნიუსი) 0:1, „დინამო“ (კიევი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1, ცსკა — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 3:0, „ნეფტჩი“ (ბაკო) — „კაირატი“ (ალმა-ატა) 2:1, „პასტაკორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ტულა) 3:1, „არარატი“ (ერევანი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „ზარია“ (ლუგანსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0.

ამრიგად, გარდა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსი“ მერვედფინალში გავიდნენ — ტერნოპოლის „ავანგარდი“, ვილნიუსის „ფალგარისი“, კიევის „დინამო“, ცსკა, ბაკოს „ნეფტჩი“, ტაშკენტის „პახტაკორი“, ერევნის „არარატი“, მინსკის „დინამო“, ოდესის „ჩერნომორეცი“, ვოროშილოვგრადის „ზარია“, ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „ტორპედო“.

ფინალში გავიდნენ

იუგოსლავიაში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

წარმატებით გამოდის საბჭოთა ნაკრები, რომელმაც ორი წინასწარი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდთან უკანასკნელი შეხვედრის მიუხედავად უზრუნველყოფილი აქვს ფინალურ ტურნირში მონაწილეობა. ფინალში გავიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიისა და ბრაზილიის გუნდები.



ოლიმპიადა

ოქროს ბურთი

ოლიმპიადა

ოქროს ბურთი

ოლიმპიადა

ოქროს ბურთი

ოლიმპიადა

ოქროს ბურთი

ლიდერობს საბჭოთა ნაკრები

ვენა, 13 მაისი. (საკდესი). ავსტრიის ქალაქ კაპენბერგში სტარტი აიღო მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის გუნდურმა ჩემპიონატმა, რომელშიც საბჭოთა მოჭადრაკეები ლიდერობენ. ორი ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 12 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს (თვითეულ გუნდში 10-10 მოთამაშეა). მეორე ადგილზეა იუგოსლავიის ნაკრები — 12 ქულა, მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები — 11-11 ქულა.

თასს გამოეთიშნენ

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას ფრენბურგში ქალთა გუნდებისათვის ფინიში აქვს. ბუდაპეშტში შედგა მეორე ნახევარფინალური მატჩი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და უნგრეთის ნიმ-ის გუნდებს შორის. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 3:0 (16:14, 15:4, 15:5). ამრიგად, ცსკა გამოეთიშა ჩემპიონთა თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

ფინალში ბუდაპეშტის ნიმი შეხვდება მოსკოვის „დინამოს“.

ტელევიზია

14 მაისი

18.05 — ახალი ამბები, 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის — „ჩხრიკიდელას სახელოსნო“, 18.50 — ყადაღება — „კოლხეთის მომავალი“, 19.10 — კონცერტი, 19.40 — სახალხო კონტროლის ეკრანი, 20.10 — „მოამბე“ —„ საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — მომარაგება-გასაღების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, 20.30 — სატელევიზიო დრამა „ოჯახი ოხოვდება“. პრემიერა, საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 21.20 — ყადაღება — „ორმოცი დღე ირაყში“, 21.50 — საქართველოს თეატრალი ტელევიზიის კინოთეატრიდან. მხატვრული ფილმი — „ქარინე“.

ფინალური ტურნირში

„დინამო“ — მერვეددფინალში

ანგარიშით 3:0

გუშინ ქუთაისის ტორპედოელებსაც თასის მეორე მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ჰქონდათ საკუთარ მოედანზე მოსკოვის „ლოკომოტივთან“. ამჯერადაც წარმატება ქუთაისელებს ხვდათ ანგარიშით 3:0. ორი გოლის ავტორი ხერხაძე იყო, ერთი ბურთი კი ვეკუამ გაიტანა.

მერვედფინალში ქუთაისის „ტორპედო“ ორჯერ შეხვდება თბილისის „დინამოს“.

ლოკომოტივი

14 მაისი

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სრია); ამირანი (საზამთრო და საზაფხულო) საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო). ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — სად ერის 042, წერილები შინ; ფილარმონიის ბაღი, საფეხბურთელოთა ბაღი, ბავშვთა ბაღი, ბავშვთა ბაღი, ბავშვ